ს/ნ 402098314

GAC-IB-0337
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

სახანძრო ექსპერტიზის ბიურო

არსებული ობიექტის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში

ანგარიში

№ BI-228

თარიღი:

07.08.2023წ.

დამკვეთი-განმცხადებელი : შპს „გლ დეველოპმენტი“ (ს/ნ 400 186 534)

იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი, ხიზაბავრას №24

ტელეფონი: 551110360

შენობის მისამართი: ქ. თბილისი, ხომლის ქ, №9 (ს/კ 01.14.16.015.340)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება : მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

დამმონტაჟებელი ორგანიზაცია : შპს „ნანოტეკი“

ხელშეკრულება: № G-284

შემსრულებელი ინსპექტორი : გიორგი ლეიმანი

წინამდებარე ინსპექტირების დასკვნა მოიცავს კვამლაღმომჩენი, საგანგაშო და ევაკუაციის მართვის, მილდგარების, კვამლის საკონტროლო სისტემების შეფასება/ინსპექტირებას.

ინსპექტირების დროს გამოყენებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

კვლევითი ნაწილი.

საინსპექციო ობიექტი წარმოადგენს ქანობიან რელიეფზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობას, შენობა შედგება 4 მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულისგან. მინუს სართულზე განთავსებულია ღია ავტოსადგომი, ხოლო დანარჩენი სართულები უკავია საცხოვრებელ ბინებს. შენობა აღჭურვილია სახანძრო სისტემებით კერძოდ:

საგანგაშო ხელით სამართავი სისტემა: ყველა სართულზე საევაკუაციო გასასვლელ კარებთან დამონტაჟებულია „ML 1710“ მარკის ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფები, რომლებიც განთავსებულია ადვილად მისადგომ და დასანახ ადგილებში, რაც შეესაბამება ნორმატიული მოთხოვნებს.

სახანძრო განგაშის სისტემა: შენობის სართულები უზრუნველყოფილია „ML 1430” მარკის საგანგაშო ხმის გამომცემი და ვიზუალური სისტემით, რომელთა განთავსების ადგილები და მათი ცეცხლგამძლე ელექტროგაყვანილობა (JE-H(ST)..BD FE180PH120) შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს.

სიმძლავრის ვენტილატორით, შემოწმებისას მეორე სართულზე ხელოვნურად გააქტიურებული იქნა კვამლაღმომჩენი დეტექტორი, რა დროსაც ნორმატიული დროის ინტერვალით ჩაირთო ვენტილატორი, ლიფტი ავარიულ რეჟიმში გაჩერდა პირველ სართულზე. შახტაში ბოლო და მეორე სართულებზე ჰაერის წნევის შემოწმებისას დაფიქსირდა 25 Pa, რაც შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს.

კიბის უჯრედების დაწნევა: შენობაში მოწყობილია ორი დახურული კიბის უჯრედი. პირველი და მეორე სადარბაზოს კიბის შახტების დაწნევა ხორციელდება შენობის სახურავზე დამონტაჟებული NANOTEK-ის მარკის 8000 მ³/სთ წარმადობის, 2,4კვტ სიმძლავრის ვენტილატორებით. კიბის უჯრედებში ჰაერის შედინება ხორციელდება სპეციალური ჰაერსატარი შახტების მემვეობით, ყველა სართულის დონეზე მოწყობილი გამშვები ღიობებიდან, შემოწმებისას მეორე სართულზე გააქტიურებული იქნა ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფი, რა დროსაც ნორმატიული დროის ინტერვალით ჩაირთო ვენტილატორები. წნევის შემოწმებისას მეორე სართულზე პირველი კიბის შახტაში დაფიქსირდა 40 Pa, ხოლო მეორე კიბის შახტაში 30 Pa, რაც შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს.

ლიფტების და კიბის შახტებში წნევის გაზომვისას გამოყენებული იქნა „HD 700“ მოდელის დიფერენციალური წნევის საზომი ხელსაწყო. შემოწმების პროცედურები დაფიქსირებულია ფოტო სურათებით.

დერეფნების კვამლის საკონტროლო სისტემა: შენობის საცხოვრებელი სართულების საერთო დერეფანში მოწყობილია ერთი ჰაერის შემომდენი და ერთი კვამლგამწოვი სავენტილაციო შახტის ღიობები. შემომდენი და გამწოვი შახტები აღჭურვილია ცეცხლგამძლე ფარსაკეტებით. ჰაერის შედინება ხდება სახურავზე დამონტაჟებული 4000 მ³/სთ წარმადობის, 2,0კვტ სიმძლავრის, ხოლო კვამლის გაწოვა ხორციელდება 5000მ³/სთ წარმადობის, 2,0კვტ სიმძლავრის ვენტილატორით. შემოწმებისას შენობის მეოთხე და მეორე სართულებზე შემთხვევითი შერჩევით ხელოვნურად გააქტიურებული იქნა კვამლაღმომჩენი დეტექტორი, ნორმატიული დროის დაყოვნებით ჩაირთო ვენტილატორები, საცდელ სართულებზე გაიხსნა შემომდენი და გამწოვი შახტების ფარსაკეტები. „EXTECH 41158“ მარკის ციფრული ანიმომეტრით შემოწმებისას მოთხე სართულზე დაფიქსირებული იქნა ჰაერის შემომდენ ღიობში 2,7 მ/წმ, ხოლო კვამლგამწოვი შახტის ღიობში კი ჰაერის ნაკადის სიჩქარემ შეადგინა 3,1 მ/წმ. მეორე სართულზე FOG MACHINE 1200W/1500W მოდელის კვამლის გენერატორით მოხდა დერეფნის დაკვამლიანება, რა დროსაც გააქტიურდა კვამლაღმომჩენი დედექტორი, შენობაში ჩაირთო საგანგაშო და კვამლის საკონტროლო სისტემები, საცდელ სართულზე გაიხსნა გამწოვი შახტის ფარსაკეტი, კვამლმა დაიწყო გადინება და დერეფნის ქვედა სავალი ნაწილი მოკლე დროის ინტერვალში განთავისუფლდა კვამლისგან.

შემოწმების პროცედურები დაფიქსირებულია ფოტო და ვიდეო მასალებით.

კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა: სართულების დერეფნებში და ბინების შესასვლელ ფოიეებში მოწყობილია ML 1110“ მარკის კვამლაღმომჩენი ხოლო ავტოსადგომში დამონტაჟებულია ML 1130 მარკის კომბინირებული. საძინებელი ერთეულები აღჭურვილია ავტონომიური დეტექტორებით. შენობის კვამლაღმომჩენები და ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფები მიერთებულია „MAXLOGIC ML 1231-ის“ მარკის განგაშის საკონტროლო მრავალბლოკიან სამისამართო პანელთან, რომელიც განთავსებულია პირველი სართულის დერეფანში. სახანძრო განგაშის და კვამლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილობების ელექტრომომარაგება ხორციელდება შენობის ელექტრო გაყვანილობიდან, ასევე სისტემები აღჭურვილია სათადარიგო ბატარეიებით. ინსპექტირებისას ავტოსადგომში, მეორე, მეოთხე, სართულების საერთო დერეფნებში და საცხოვრებელ ერთეულებში, შემთხვევითი შერჩევით ხელოვნურად გააქტიურებული იქნა კვამლის აღმომჩენი დეტექტორები და ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფები, გააქტიურების შედეგად ამოქმედდა საგანგაშო ხმოვანი და ვიზუალური სისტემები. იგივე ქმედება განხორციელდა შენობაში ძირითადი ელექტროენერგიის გათიშვის შემდგომ. სისტემებმა იმუშავეს სათანადო რეჟიმში.

დეტექტორების გასააქტიურებლად გამოყენებული იქნა „SOLO”-ს მარკის ტესტერი. შემოწმების პროცედურები დაფიქსირებულია ფოტო სურათებით.

ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემა: ყველა საცხოვრებელი სართული უზრუნველყოფილია გასასვლელების მიმართულების განათებული მაჩვენებლებით „EXIT”, ასევე საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია ავარიული განათების სისტემა. ინსპექტირებისას ძირითადი ელექტრო კვების გათიშვის შემდეგ ავტომატურად ჩაირთო ავარიული განათება.

მილდგარების სისტემა: შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო ონკანის კარადები, რომლებიც დაკომპლექტებულია 25 მმ$^{\varnothing}$ 30 მეტრი სიგრძის რეზინის შლანგებით. მილდგარში წყლის მიწოდება ხორციელდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან. ინსპექტირებისას სახანძრო ონკანში არსებული წყლის წნევა შემოწმდა პრაქტიკულად, კერძოდ: ბოლო ზედა სართულზე მთელ სიგრძეზე გაიშალა სახანძრო შლანგი და გაიხსნა წყლის მარეგულირებელი სარქველი, ლულიდან გამოფრქვეული წყლის ჭავლის სიგრძე და წარმადობა აკმაყოფილებს ნორმატიულ მოთხოვნებს.

კვამლის საკონტროლო სისტემები

ლიფტის შახტების დაწნევა: შენობაში ერთი ლიფტის შახტაა და მის წინ ყველა სართულზე მოწყობილია ტამბურები. სადარბაზოს ლიფტის შახტის დაწნევა ხორციელდება შენობის სახურავზე დამონტაჟებული 16000 მ^3/სთ წარმადობის, 4,0კვტ.

სარეზერვო ელექტროკვება: არსებული სახანძრო სისტემების ავარიული ელექტრო მომარაგება ხორციელდება შენობის ღია ავტოსადგომის მიმდებარედ განთავსებულ 30 კვტ. სიმძლავრის დიზელგენერატორით.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე, ქ. თბილისი, ხომლის ქ, №9-ის (ს/კ 01.14.16.015.340) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობაში კვამლაღმომჩენი, საგანგაშო და ევაკუაციის მართვის, მილდგარები და კვამლის საკონტროლო სისტემები არის მუშა-გამართულ მდგომარეობაში და შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებს.

ინსპექტორი: გიორგი ლეიმანი

ტექნიკური წესით გადაამოწმა ტექ. მენეჯერი: ნუგზარ მაისურაძე

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა დირექტორი: ნუგზარ მაისურაძე

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0337

ადასტურებს, რომ

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, სამტრედიის ქ. №17;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის და ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი; 2. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება (სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი).

(დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის

გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი

19 თებერვალი 2020 წ.

ძალაშია

19 თებერვალი 2024 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0337**
განკარგულება №06/32
თარიღი: 19.02.2020 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



სფეროს აქტუალიზაცია
აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0337**
განკარგულება № 01/40
თარიღი: 08.06.2021 წელი

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტაციის სფერო

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“

მისამართი: ქ.თბილისი სამტრედიის ქუჩა №17;

№	ინსპექტირების ობიექტი [1]	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი [2]	მეთოდები და პროცედურები [3]
1	*2*	*3*	*4*
1	ობიექტის ან მისი ნაწილის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის (სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი) მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 3); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 2); 3. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2015 წ. 23 ივლისის დადგენილება N370) 4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41); 6. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 7. ინსპექტირების პროცედურები.
2	პროექტის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.